განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA
პროფესიული საგაწმაწათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **თამარ ვალიშვილი**

წევრები:

სახელი, გვარი - **ევგენი გუგულაშვილი**

სახელი, გვარი - **ეკა პატიეშვილი**

სახელი, გვარი - **მარინე გვრიტიშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ***ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA***

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა - **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245445004**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 თებერვლის N 123 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - თამარ ვალიშვილი, ჯგუფის წევრები - ევგენი გუგულაშვილი, ეკატერინე პატიეშვილი, მარინე გვრიტიშვილი) 2019 წლის 25,26,27 თებერვალს განახორციელა ვიზიტი ,,შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში BPA''-ში, მისამართზე: ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N67.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულება ,,შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA''-ის (ს/კ 245445004) პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

მოხდა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, შემოწმდა დაწესებულების საგნმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამები, მოდულები, დაწესებულების ვებ გვერდი, რეესტრი, შემოწმდა დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი.

განხორციელდა ვიზიტი ჯგუფის მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე: შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელ-ში (საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სააქრქივო სამმართველოში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე"). პრაქტიკის ობიექტებზე მოხდა გასაუბრება პრაქტიკის ინსტრუქტორებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითად მიგნებები.

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული	**მუხლი 7 /**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ}

	ევაკუაციის გეგმა;	**პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1. რეკომენდირებულია დაზუსტდეს პროგრამების შემუშავების პროცედურა და შეიქმნას პროგრამის შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია.

1.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დააზუსტოს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი.

1.1. აკადემიას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტი საწარმოო პრაქტიკისათვის (ან დღიური, ან უწყისი, ან სხვა) და არსებული დებულება დაკორექტირდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისათვის.

1.1. პროფესიული პროგრამისათვის „საფინანსო სერვისები“ რეკომენდირებულია გაფორმდეს მემორანდუმი კომერციულ ბანკთან.

1.5. რეკომენდირებულია განახლდეს პროგრამების კატალოგი.

1.6. რეკომენდირებულია მოწესრიგდეს პროგრამის შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

2.3. სასურველია წიგნების ელექტრონულ კატალოგში მოხდეს წიგნების ისე დახარისხება, რომ ადვილი იყოს სასურველი წიგნის მოძებნა.

2.7. აკადემიას მიეცა რეკომენდაცია - პანდუსები გაკეთდეს მესამე სართულზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

2.8. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს იმ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა, რომელთა პერსონალური მონაცემები განთავსებულია ვებ გვერდზე.

VII. დაწესებულების მისია

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA მისიაა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზებით უზრუნველყოს: -კონკურენტუნარიანი, პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა თეორიული ცოდნა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარები შეესაბამება პროფესიული განათლების თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს; - პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა, მათი დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის მომზადება; - მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფორმალური და არაფორმალური გზით მიღების შესაძლებლობა კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობების წახალისება და პროფესიული სტუდენტების/მსმენელთა ინიციატივების მხარდაჭერა; - პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება გეგმავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბუღალტრული აღრიცხვა,*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საოფისე საქმე,*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისები*

საგანმანათლებლო პროგრამებს ახლავს შესაბამისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის მოდულები, რომლებიც შედგენილია კოლეჯის შიდა რეგულაციების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება რეგულირდება ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 15-ით, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელის და დირექტორის მოადგილის ჩართულობით. აკადემიის დირექტორის მოადგილე უფლებამოსილია პროგრამის შემუშევებაში ჩართოს შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულთა მსხვილი დამსაქმებელი ორგანიზაცია, პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და ნებისმიერი დაინტერესებული პირი. პროგრამის შემუშავების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი დასკვნისათვის წარედგინება აკადემიის დირექტორის მოადგილეს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი თანდართული დირექტორის მოადგილის დასკვნით განსახილველად წარედგინება დირექტორს.

<u>ვიზიტის დროს სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებისას დადასტურდა პროგრამების შემუშავების პროცედურა, თუმცა ვერ იქნა ნანახი დაწესებულების მიერ დაგეგმილი პროგრამის შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია. სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში დირექტორის მოადგილემ წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ახალი პროფესიული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზანშეწონილობა გამომდინარეობს აკადემიის ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმიდან. ასევე აკადემიის სასწავლო გარემო, მათ შორის პრაქტიკის ობიექტებზე, საგანმანათლებლო რესურსი, პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იძლევა პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევების შესაძლებლობას.</u>

დაწესებულებაში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია 2018 წლის 20 ნოემბერს N01-35 ბრძანებით). ამ დოკუმენტის მიხედვით, აკადემიის მიერ კონკრეტული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შერჩევა ხდება პროგრამის სპეციფიკის, აკადემიის კუთვნილებაში არსებული მატერიალური და ადამინური რესურსიდან გამომდინარე. <u>თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი ატარებს ზოგად ხასიათს და ბუნდოვანია თუ როგორ ხდება კონტინგენტის განსაზღვრა კონკრეტულ პროგრამებზე. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა როგორ მოხდა კონტინგენტის განსაზღვრა პროფესიულ პროგრამებზე. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დააზუსტოს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი.</u>

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA -ს დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N01-32 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA დირექტორის მიერ (ბრძანება N 01/35, 20.11.2018წ).

შემდგომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძელზე შექმნილი პროფესიული პროგრამების ახალ ვერსიებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამებში შესულია ცვლილებები, დამტკიცებული საზოგადოებრივი აკადემიის BPA დირექტორის ბრძანებით 01-05, 12.02.2019წ. „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA დირექტორის ბრძანებით 01-06, 15.02.2019წ. „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (ცვლილებები ეხება საფინანსო სერვისების პროგრამას).

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის ინფორმაცია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების სისტემა და მტკიცებულებათა შეგროვების მიდგომები, მოცემულია როგორც პროგრამებში, ისე მოდულებში.

1) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“:</u>

პროგრამა შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting.

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 129 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 64 კვირა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 84 კვირა. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 16 პროფესიულ მოდულს (88 კრედიტის მოცულობით).

2) <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისების" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 35 კვირა.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 45 კვირა.

საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელ-თან (N04-04, 17.05.2018 წ); სს „ნიკორა ტრეიდთან“ (N04-06, 29.05.2018წ).

ავტორიზაციის ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე: მიკროსაფინანსო ორგანიაციაში „ბერმელი“. <u>საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის შეფასების რაიმე ინსტრუმენტი აკადემიასა და „ბერმელს“ შორის შეთანხმებული არაა, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პრაქტიკის დებულება“ (დამტკიცებული 03/01/2014წ. ბრძანება N 01-04), სადაც გაწერილია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ინსტრუქციები. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის დებულება გაწერილია საგნობრივი პროგრამებისათვის. ობიექტზე პრაქტიკის ინსტრუქტორთან ინტერვიუს მსვლელობისას დადასტურდა ზემოაღნიშნული ინტრუქციის მიხედვით სტუდენტების მომზადება. ასევე იქნა ნანახი ადრე განხორციელებული პროგრამებისათვის საწარმოო პრაქტიკაზე პროფესიული სტუდენტის დასწრების დღიური, მაგრამ არაა ანალოგიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

(ან სხვა ფორმის) შეფასების ინსტრუმენტი განსახორციელებელი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებისათვის. აკადემიას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტი საწარმოო პრაქტიკისათვის(ან დღიური, ან უწყისი, ან სხვა). და არსებული დებულება დაკორექტირდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამისათვის.

დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი კომერციულ ბანკთან, პროგრამა „საფინანსო სერვისების“ მოდულების-„ანგარიშის გახსნა-დახურვა“, „უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები“, „სადეპოზიტო მომსახურება“, „დისტანციური საბანკო მომსახურება“- შედეგების სრულყოფილად მიღწევისთვის რეკომენდირებულია მემორანდუმის გაფორმება კომერციულ ბანკთან. ვინაიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ფიზიკურად არ ხდება ზემოთაღნიშნული მოდულებით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელება. ხოლო საბანკო პროგრამა „ალტას“დემო ვერსიაში (რომელიც შეძენილი აქვს დაწესებულებას)ამ ოპერაციების შესრულება ხდება ნაწილობრივ (ან ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია).

3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ –

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work,

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 59 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულები შეადგენს 15 კრედიტს, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 44 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 39 კვირა.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 89 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 59 კვირა.

პროფესიული პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო საამართველოსთან (N04-05, 22.05.2018წ); შპს სკოლა ევრო 2000-სთან (17.10.2018წ).

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს შემდეგ საგნობრივ პროგრამებს:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის დასრულების დრო	სტუდენტების რაოდენობა
1	ბუღალტრული აღრიცხვა	მესამე	14.06.2019	22
2	ბუღალტრული აღრიცხვა	მეოთხე	5.07.2019წ	14
3	ოფისის მენეჯერი	მესამე	12.07.2019წ	13
4	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	15.07.2019წ	15
5	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	01.06.2019/ 20.06.2020წ	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6	*ფარმაცევტის თანაშემწე*	*მეხუთე*	*25.12.2020*	*16*
7	*პრაქტიკოსი ექთანი*	*მეხუთე*	*14.06.2019/ 15.15.2021*	*16*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამებით;*
- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01..11.2018 წლ);*
- *ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01/35, 20.11.2018წ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი პროგრამების დამტკიცების შესახებ);*
- *სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში დირექტორის მოადგილეს მოხსენებითი ბარათით (01.11.2018წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სააქრქივო საამართველოსთან (N04-05, 22.05.2018წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შპს სკოლა ევრო 2000-სთან (17.10.2018წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელ-თან (N04-04, 17.05.2018წ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით სს „ნიკორა ტრეიდთან“ (N04-06, 29.05.2018წ);*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე www.bpa.ge არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოთავსებულია ინფორმაცია აკადემიის მისიის, მიზანის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა (სახელწოდება, პროგრამის ხელმძღვანელი, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, დასაქმების სფერო). კატალოგში მოცემულია ინფორმაცია მილევად საგნობრივ პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ოფისის-მენეჯერის (მდივან–რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ოფისის-მენეჯერის (მდივან–რეფერენტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული განათლების პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამა პრაქტიკოსი ექთანი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამა ფარმაცევტის თანაშემწე.

<u>კატალოგი დათარიღებულია 2018 წლით და არ არის განახლებული 2019 წელს. კოლეჯის დირექტორის მოადგილეს განმარტებით კატალოგი განახლდება 2019 წელს და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მას დაემატება ახალი ავტორიზებული პროგრამები.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროგრამების ბეჭდური კატალოგით;*
- *დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგით: http://www.bpa.ge*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის BPA ჩარჩო დოკუმენტის საფუძველძე შექმნილი პროგრამებით;*
- *პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც ასახულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ოთხი კურსდამთავრებულის პირადი საქმე-სტატუსის მოპოვებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე. შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა ეტაპი დაწესებულების დადგენილი წესების დაცვით განხორციელდა, ხოლო მობილობის და მიღებული განათლების აღიარების შემთხვევა აღნიშნულ სასწავლებელში არ ყოფილა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01..11.2018 წლ);*
- *კურსდამთავრებულებთა პირადი საქმეებით.*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ასახულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 16): დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას. დებულების თანახმად, აკადემია აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი კრედიტების აღიარებით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების მობილობას სხვა სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.

დ ასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01..11.2018 წლ);*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს "საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა", რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია საგაკვეთილო პროცესზე დასწრების, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის და დამსაქმებელთა კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციებზე. ვიზიტის დროს გადამოწმდა და დადასტურდა ზემოთ აღნიშნული კითხვარების არსებობა.

<u>აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელის დებულების" მუხლი 26-ში. დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებისას დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის არსებობაც და განხორციელებაც. იყო წარმოდგენილი პროგრამის შეფასების ამსახველი ოქმები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ იყო დარეგისტრირებული საქმის წარმოების წესის დაცვით.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემით (დამტკიცებულია 2018წ. 2 ნოემბრის ბრძანებით N 01-30);*
- *პოტენციური დამსაქმებლების კითხვარებით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

- *პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების კითხვარებით;*
- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებული 2018წ. 2 ნოემბრის ბრძანებით N 01-32);*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - საზოგადოებრივი კოლეჯის, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, გრიბოედოვის ქ. №67. აკადემია განთავსებულია აღნიშნული მისამართის შენობაში, რომლის მესაკუთრეებია: შპს „არზო“, ID ნომერი: [redacted] *და შპს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სინათლე“, ID ნომერი:* [redacted] *აკადემია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს აღნიშნული შენობის 655 კვ.მ ფართობს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №* [redacted] *. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2018 წლის 30 აპრილს და მოქმედებს 2018 წლის 01 მაისიდან ხუთი წლის ვადით 2023 წლის 01 მაისამდამდე. აკადემიას გააჩნია, ყოველი სართულის (მე-2 და მე-3)_აზომვითი ნახაზები, რომლებზეც მითითებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის საჭირო აუდიტორიები, ადმინისტრაციის ოთახები და სხვადასხვა საჭიროებისთვის განკუთვნილი ფართები.*

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	*საქართველო, ქ. ბათუმი 6010, გრიბოედოვის ქ. № 67*	*655*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
- *საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი .*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, კომპიუტერები, მრავალფუნქციური პრინტერები, პროექტორი და ყველა ის ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

კომპიუტერები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამებით (ORIS-ბუღალტერია, საბანკო კომპიუტერული პროგრამა „ალტა“).

სასწავლო პროცესი ხორციელდება შენობის მეორე და მესამე სართულზე.

შენობის მეორე სართულზე *განთავსებულია 6 სასწავლო აუდიტორია, არქივი, დირექტორის კაბინეტი, ლაბორატორია, კანცელარია, სამედიცინო პუნქტი, სველი წერტილები (მათ შორის ადაპტირებული), ბიბლიოთეკა (31 კვ.მ), 2 B გარემო (25.80 და 25.80 კვ.მ).*

შენობის მესამე სართულზე განთავსებულია 2 სასწავლო აუდიტორია, სამასწავლებლო, სველი წერტილები, A ტიპის აუდიტორია საოფისე საქმის პროგრამისათვის (31,6 კვ.მ.), A ტიპის აუდიტორია - საერთო - საფინანსო სერვისებისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებისათვის (31,6 კვ.მ.).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია "A", და "B" გარემოებები, კერძოდ -

1. ***<u>საგანმანათლებლო პროგრამების „საფინანსო სერვისები“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ - საერთო</u> A გარემო (31,6 კვ.მ.) – 24 ადგილი :***

1	*სტუდენტის მაგიდა, სკამი*	*24 ერთეული*
2	*მასწავლებლი მაგიდა, სკამი*	*1 ერთეული*
3	*დაფა*	*1 ერთეული*
4	*ნოუტბუკი*	*1 ერთეული*
5	*პროექტორი*	*1 ერთეული*
6	*ფულის სათვლელი მანქანა ულტრაიისფერი დეტექტორით*	*1 ერთეული*
7	*შტამპები*	*12 ერთეული*
8	*გამომთვლელი*	*24 ერთეული*
9	*ლუპა*	*6 ერთეული*
10	*საინკასაციო ჩანთა*	*1 ერთეული*
11	*აუდიო აღჭურვილობა*	*1 ერთეული*
12	*ფლეშ-მეხსიერება*	*1 ერთეული*

<u>საოფისე საქმე (1 A</u> გარემო (31,6 კვ.მ.) – 20 ადგილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1	*სტუდენტის მაგიდა, სკამი*	*20 ერთეული*
2	*მასწავლებლი მაგიდა, სკამი*	*1 ერთეული*
3	*დაფა*	*1 ერთეული*
4	*ნოუტბუკი*	*1 ერთეული*
5	*მონიტორი*	*1 ერთეული*
5	*პროექტორი*	*1 ერთეული*
6	*მახათი*	*20 ერთეული*
7	*სადგისი*	*3 ერთეული*
8	*სტეპლერი*	*1 ერთეული*
9	*საქაღალდე*	*4 ერთეული*
10	*ბაინდერი*	*4 ერთეული*
11	*სწრაფჩამკერი*	*4 ერთეული*
12	*ფაილი*	*4 ერთეული*
13	*რკინის სამაგრები*	*4 ერთეული*
14	*აუდიო აღჭურვილობა*	*1 ერთეული*
15	*მარკერი (შეკვრა)*	*1 ერთეული*
16	*ფერადი მარკერი*	*4 ერთეული*

*საგანმანათლებლო პროგრამებს ემსახურება **2 B გარემო (თითოეული განსაზღვრულია 12 სტუდენტისათვის)** -*

1	*სტუდენტის მაგიდა, სკამი*	*12*
2	*მასწავლებლის მაგიდა, სკამი*	*1*
3	*დაფა*	*1*
4	*ნოუტბუკი მასწაბლებლისთვის*	*1*
5	*სტუდენტის კომპიუტერი, ნოუტბუკი*	*12*
6	*პროექტორი*	*1*
7	*კომბაინი*	*1*
8	*ფლეშ მეხსიერება*	*1*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - საზოგადოებრივი კოლეჯის, ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA - ის განკარგულებაშია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. აკადემიას გააჩნია ელექტროენერგიის მოწოდების უწყვეტი სისტემა, იგი ყოველთვიურად უხდის დარიცხულ გადასახადს შენობის მესაკუთრეს: შპს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 'სინათლე", ID ნომერი: [redacted]

აკადამიას უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით, მას აქვს ხელშეკრულება შპს „ბათუმის წყალი"- თან, რომელიც გაფორმებულია 25.11.2013 წელს (№16, 2237). დარეგისტრირებულია, როგორც აბონენტი № [redacted] *და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია წყლის მარაგით. აკადემიაში ყოველ სართულზე არის სველი წერტილები. .*

აკადემია უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირის უწყვეტი მომარაგებით, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „სოკარ ჯორჯია გაზ"- თან 2018 წლის 13 თებერვალს და ყოველთვიურად იხდის დარიცხულ გადასახადს. აკადემიაში არის ცენტრალური გათბობა და ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით;*
- *საინვენტარიზაციო ჩამონათვალით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი № 33) შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები: ბიბლიოთეკაში გაწევრიანების, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა/დაბრუნების მექანიზმი და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA - ას გააჩნია ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 1085 ერთეულით, უმრავლესობა როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით, ხოლო ზოგი მხოლოდ ბეჭდური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია განსახორციელებელი პროგრამებისთვის საჭირო ყველა წიგნი, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ფორმით (არსებობს წიგნების CD დისკები). ბიბლიოთეკას აქვს როგორც მატერიალური (ალფავიტური), ასევე ელექტრონული კატალოგი (განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე: www.bpa.ge), რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი აქტიური სტუდენტისათვის შესაბამისი რესურსის მოსაძიებლად.

<u>კატალოგში სასურველი წიგნის მოძიება საკმაოდ მოუხერხებელია, არაა დალაგებული არც ალფავიტის მიხედვით, არც თემატურად. აკადემიას მიეცა რეკომენდაცია მოაგვაროს ეს ხარვეზი. ინტერნეტის კატალოგში ელექტრონული წიგნების განთავსებაზე პასუხისმგებელია შპს „ჯი-ემ-ემ სტუდიო“, რომელსაც მიეწოდება შესაბამისი ელექტრონული წიგნი და ისინი განათავსებენ კატალოგში. სასურველია წიგნების ელექტრონულ კატალოგში მოხდეს წიგნების ისე დახარისხება, რომ ადვილი იყოს სასურველი წიგნის მოძებნა.</u>

ბიბლიოთეკაში არის 5 ლეპტოპი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში და ერთი კომბაინი (ქსეროქსი, პრინტერი). ბილიოთეკას აქვს კარგად მოწყობილი სივრცე შშმ პირებისათვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული ბილიოთეკის სარგებლობის წესები, განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.

ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, შემთხვევითობის პრინციპით შემოწმდა განსახორციელებელი პროგრამისთვის საჭირო ორ-ორი წიგნი. ბიბლიოთეკაში არსებობს წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი წიგნი, რომელშიც გატარებული ყველა არსებული წიგნი, არსებობს წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. ბიბლიოთეკაში არის წიგნის გატანის კონტროლის მექანიზმი, არის სტუდენტის/პედაგოგის პირადი ბარათი და მასში წიგნის ტარდება გატანა/ დაბრუნების თარიღები. დაწესებულების ვებ გვერდზე აგრეთვე განთავსებულია ელექტრონული საძიებო სისტემა OPEN BIBLIO.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01.11.2018 წ.);*
- *ინტერვიუთი ბიბლიოთეკართან;*
- *აკადემიის საიტზე კატალოგის შემოწმებით.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. აკადემიას, 2 წლის ვადით, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „სილქნეტ“- თან (ხელშეკრულება № 03-09) სილქ - TV მიწოდების შესახებ. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დღეისათვის აკადემიის მფლობელობაშია:

1	*კომპიუტერი*	*37*	*მათ შორის 14 ნოუტბუკი*
2	*პროექტორი*	*3*	
3	*პრინტერი/კომბაინი*	*9*	*5 სასწავლო გარემოში და 5 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის.*
4	*მონიტორი*	*4*	

აკადემია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, მას 2018 წლის 01 ნოემბერს (ხელშეკრულება № 47. № 03-12) გაფორმებული აქვს უვადო ხელშეკრულება შპს „ჯი-ემ-ემ სტუდიო’-სთან ჰოსტინგისა და დომენის მიწოდების შესახებ. აკადემიას 2016 წლის 27 სექტემბერს აქვს გაფორმებული უვადო ხელშეკრულება შპს „csc batumi“-სთან კომპიუტერული და ორგოტექნიკის შეკეთების და მომსახურების შესახებ. აკადემიას აქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები: აკადემიის ვებ გვერდი: www.bpa.ge, ელექტრონული ფოსტა (Bmk.edu.ge@gmail.com).

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად აკადემიას ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებას; აკადემიის კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებას, გამართვას და ოპტიმალურ ფუნქციონირებას, საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა–განვითარებას, აკადემიის საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნას, მის მართვასა და სისტემატურ განახლება-გაფართოებას, აკადემიის ელექტრონული ფოსტის სერვერის გამართულ მუშაობასადა მასში ახალი მომხმარებლების რეგისტრაციას, აკადემიის კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას, ტექნიკის მოდერნიზაციას, პრეზენტაციებისათვის შესაბამისი აპარატურისა და ელექტრონული მასალის მომზადებაში ადმინისტრაციის ხელძღვანელობისათვის დახმარების გაწევას, ვიდეოკონფერენციებისათვის ქსელური მხარდაჭერის კონფიგურირებასა და შესაბამისი აპარატურის მომზადებსა და გამართული ფუნქციონირება, უზრუნველყოფს რეგისტრანტთა, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ელექტრონული რეესტრის წარმოებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01.11.2018 წლ);

- *ხელშეკრულებით ინტერნეტ პროვაიდერთან (დომენი, ჰოსტინგი) და მომსახურე კომპანიასტან;*
- *აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებ გვერდის ადმინისტრირების წესით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.*

შეფასება:

☒ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს დირექტორის 2013 წლის 30 დეკემბრის №57 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება გამოცემული აქტების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. ბრძანებების აღრიცხვა ხორციელდება ჟურნალში გატარებით, რომელიც დანომრილია, აღრიცხული და ზონარგაყრილი, მათი სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია. საქმისმწარმოებელს გაკეთებული აქვს დოკუმენტების ელექტრონული ბაზა.

დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომლის ფუნქციებია: აწარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას, ა)უზრუნველყოფს აკადემიის დოკუმენტაციის მიმოსვლას და სისტემატიზაციას; ბ) უზრუნველყოფს დოკუმენტაციის გაგზავნას ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით; ახორციელებს აკადემიის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციას და აკადემიის თანამშრომლებამდე მიწოდებას; ამზადებს აკადემიის დირექტორის ბრძანების პროექტებს თანამშრომელთა დანიშვნის, სამსახურიდან გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ; ე) აკადემიის დირექტორის დავალებით ამზადებს პასუხებს აკადემიის შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე; ვ) აწარმოებს არქივს; ზ) საჭიროების შემთხვევაში ადგენს აკადემიის დირექტორის სამუშაო შეხვედრების და თათბირების ოქმებს; თ) უზრუნველყოფს საკადრო საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენას, წარმოებასა და შენახვას, აკადემიის თანამშრომელთა პირადი საქმეების ფორმირებას, შრომითი ხელშეკრულებების მომზადებასა და რეგისტრაციას; ი) აღრიცხავს აკადემიის დირექტორის დავალებებს და კონტროლს უწევს დადგენილ ვადებში მათ შესრულებას; კ) ამზადებს პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ბრძანების პროექტს. ლ) ასრულებს აკადემიის დირექტორის სხვა დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01..11.2018 წლ);*
- *ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საქმისწარმოების წესი.*
- *შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა ბრუნვის, ბრძანებებით, ხელშეკრულებებისა აღრიცხვის ჟურნალებით;*
- *საქმის წარმოების მენეჯერთან გასაუბრებით;*

შეფასება:

☒ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ში შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომლის მუხლი 36-ში სრულად და მკაფიოდაა გაწერილი დაცვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესები.

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ში ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია აკადემიის დაცვის სამსახური. აკადემიას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „სახანძრო უსაფრთხოება"-სთან (2018 წლის 07 სექტემბერი), რომელთა მიერ შედგენილია შენობის საევაკუაციო გეგმა და დატენილია ცეცხლაქრები.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA -იის შენობის ყოველ სართულზე თვალსაჩინო, შესაბამის ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით, ყოველ სართულზე, კიბის უჯრედებთან და დერეფანში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ, ხელის ცეცხლმაქრები, რომლებიც დატენილია შპს „სახანძრო უსაფრთხოება"-ის მიერ (2018 წლის 07 სექტემბერი). ცეცხლაქრების მოქმედების ვადაა 2020 წლის სექტემბერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ში არსებობს სამედიცინო პუნქტი და აკადემიის დირექტორის მიერ დანიშნული ექიმი და ექთანი, რომელთა კომპეტენცია დასტურდება დიპლომით, მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ჩასატარებლად. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც ინახება პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან პროფესიული სტუდენტები და პერსონალი; შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო სამსახური უწევს დაწესებულების ნებისმიერ პირს პირველად გადაუდებელ დახმარებას და უზრუნველყოფს „სასწრაფო მომსახურების“ გამოძახებას. სასწავლებელში არსებობს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი. აკადემია იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება. აკადემიის ექიმი განსაზღვრავს პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალს და წარუდგენს აკადემიის დირექტორს. აკადემიას აქვს შეთანხმება შპს „გვირილა-2“-თან, რომელიც უზრუნველყოფს მედიკამენტების გაცემას აკადემიის ექიმზე წარდგენილი ჩამონათვალის მიხედვით. ანგარიშწორება აკადემიასა და შპს „გვირილა-2“-ს შორის ხდება გადარიცხვით წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად, დაწესებულებაში შექმნილია დაცვის სამსახური. დებულებით გაწერილი სამუშაო აღწერილობების შესაბამისად დაცვის სამსახური მუშაობს 24 საათიან რეჟიმში და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და დაწესებულების დაცვას; უსაფრთხო და მშვიდ სამუშაო და სასწავლო გარემოს; ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელობას; უნარშეზღუდულ სტუდენტთა მომსახურებას. აკადემიას 2019 წლის 01 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „საკუთრების დაცვის სამმართველო“-სთან ობიექტის 24 საათიანი დაცვის შესახებ, 1 წლის ვადით (ხელშეკრულება № 03-02). აკადემიაში დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები და მიმდინარეობს სწავლების პროცესის მუდმივი მონიტორინგი. აკადემიას 2019 წლის 25 იანვარს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ბეგურ“-თან სამეთვალყურეო სისტემების მიწოდება-მოწყობის შესახებ (ხელშეკრულება № 03-01).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01.11.2018 წელი);*
- *გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *ინტერვიუ პერსონალთან.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ }

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. <u>შესასვლელიდან მეორე სართულამდე კიბეებზე დამონტაჟებული არის პანდუსები, ხოლო მესამე სართულამდე პანდუსები არ არის</u> <u>(აკადემიას მიეცა რეკომენდაცია რომ პანდუსები გააკეთონ მესამე სართულამდე).</u> მეორე სართულზეა განთავსებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო A და B ტიპის სასწავლო აუდიტორიები, დერეფნებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენ¬ტების გადადგილება და აუდიტორიებთან წვდომა. მეორე სართულზეა ასევე განთავსებული ადმინისტრაციის ოთახი, ბიბლიოთეკა, სპეციალური ადაპტირებული სველი წერტილი და სხვა სწავლებისთვის საჭირო ოთახები. შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენ¬ტებისათვის შექმნილია ყველა გარემო სწავლებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის რეგულაციები გაწერილია ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 37-ში. აკადემიის დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აღმოუჩინონ ყველა საჭირო დახმარება, რაც დასტურდება დაცვის თანამშრომელთან გასაუბებით (საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება. მუხლი 36).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01.11.2018 წელი);*
- *დაცვის თანამშრომელთან გასაუბრებით.*

შეფასება:

- [x] *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*
- [ ] *ქვესტანდარტი დარღვეულია*

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი www.bpa.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მისია, სტრუქტურა, ანგარიშები, აქტივობები, ვაკანსიები, პროგრამები (საგნობრივი/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი), დამსაქმებლები, ფოტო-ვიდეო გალერეა, რეგულაციები: BPA - ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, და სხვა მარეგულირებელი აქტები, დაწესებულების ერთწლიანი (2019წ) და 6 წლიანი გეგმები, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი, მათი საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა. ვებ გვერდზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქართულ ენაზე.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად (ბოლო სიახლე განთავსებულია 2019 წლის 19 თებერვალს), ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ასევე შექმნილია კოლეჯის Facebook გვერდი, რომელთა მართვა და განახლება ხორციელდება რეგულარულად, რაც დასტურდება საზოგადოების ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან.

აუცილებელია დაწესებულებას ჰქონდეს იმ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა, რომელთა პერსონალური მონაცემები განთავსებულია ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის –ის ვებ-გვერდით www.bpa.ge*
- *დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით 1/11/2018წ დამტკიცებული ბრაძანებით N 03-12 ;*
- *გასაუბრებით საზოგადოების ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერთან.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულების მისიიდან გამომდინარე შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) (01/2018-01/2024 წწ.) და ერთწლიანი (2019 წლის) სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის 2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის 03 იანვრის N 01-01 ბრძანებით. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

სტრატეგიულ გეგმაში (01/2018-01/2024წწ.) გათვალისწინებულია სტრატეგიის მიზანი, სტრატეგიული ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი/პოზიცია. სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება.

2019 წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და მოიცავს ინფორმაციას: აქტივობების, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა 2018 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია მტკიცებულებების მითითებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების ვებ გვერდით: www.bpa.ge*
- *სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2018-2023 წ. წ.) და ერთწლიანი (2019წ.) სამოქმედო გეგმით;*
- *2018 წლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმის ანგარიშით.*

შეფასება:

☒ *ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

☐ *ქვესტანდარტი დარღვეულია*

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პირადი საქმისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები გაწერილია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში“ (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის # 01-32 ბრძანებით) დაწესებულების როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება ან პრაქტიკული გამოცდილება, კერძოდ „საფინანსო სერვისების“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლებიდან ყველა არის ეკონომიკური ან ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი/ მაგისტრი. პროგრამების „ბუღალტრული აღრიცხვა”და „საოფისე საქმე“ პროფესიული მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

აკადემია მუდმივად ზრუნავს პერსონალის, როგორც ადმინისტრაციული და დამხმარე, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე. პროფესიული მასწავლებლების პირად საქმეების შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინახა ტრენინგების დამადასტურებელი სერთიფიკატები, რაც უმეტესწილად დაკავშირებული იყო მოდულური პროგრამების ადაპტირება/განხორციელებასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში“ (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის # 01-32 ბრძანებით) მუხლი 30;*
- *პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;*
- *პროფესიულ პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით.*

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, დადგინდა, რომ პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 24 პირის მიღება. პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 16 პროფესიული მასწავლებელი. ამდენად, პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 1,5.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 40 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 13 პროფესიული მასწავლებელი. ამდენად, პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 3.

საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იგეგმება ჯამში 20 პირის მიღება, პროგრამის განხორციელებას მოემსახურება 15 პროფესიული მასწავლებელი. ამდენად, პროფესიული სტუდენტისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელი პირის თანაფარდობაა - 1,3 .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით;*
- *პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და გაწერილია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“, მუხლი 30-32.

ამავე დებულებით რეგულირდება პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დებულებით განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღებისათვის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა.

პირადი საქმეები დაკომპლექტებულია დებულებით გაწერილი დოკუმენტებით.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 დეკემბრის N 01-32 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია ოქმით №5, 31.10. 2018 წ . და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 01-28 01..11.2018 წლ);*
- *პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით.*

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



{თბილისი, 2019წ }

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	*ბულალტრული აღრიცხვა*	*მეხუთე დონე*	*უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156*	*99*	*129*	*ქართული*	*ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ.67*	*0*	*40*
2	*საოფისე საქმე*	*მეოთხე დონე*	*საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369*	*59*	*89*	*ქართული*	*ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ.67*	*0*	*20*
3	*საფინანსო სერვისები*	*მესამე დონე*	*საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456*	*51*	*66*	*ქართული*	*ქ.ბათუმი, გრიბოედოვის ქ.67*	*0*	*24*

IX. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019წ}

4.04.2019წ
თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: